## აღმოაჩინე დროულად

**დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:**

**116001** ან **1505**

fb.com/cancerscreening2019

ncdc.ge

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

HRU
ჯანმრთელობის კვლევის კავშირი

## აღმოაჩინე დროულად

**დროული დიაგნოსტიკა კიბოს დამარცხების საუკეთესო საშუალებაა**

**ძუძუს კიბოს**
40-70 წ ქალებში

**საშვილოსნოს ყელის კიბოს**
25-60 წ ქალებში

**მსხვილი ნაწლავის კიბოს**
50-70 წ ქალებსა და მამაკაცებში

**სკრინინგულ კვლევებს უზრუნველყოფს სახელმწიფო**

**ჩაიტარე კიბოს სკრინინგი, იყავი ჯანმრთელი**

# აღმოაჩინე დროულად

**კიბოს სკრინინგის მიზანია აღმოაჩინოს შესაბამისი პათოლოგიური ცვლილებები სიმპტომების გამოვლენამდე**

**კიბოს სკრინინგის რეგულარულად ჩატარება უზრუნველყოფს დაავადების განვითარების და სიკვდილობის რისკის მკვეთრ შემცირებას**

**ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგულ გამოკვლევებს სახელმწიფო უზრუნველყოფს**

**ჩაიტარეთ კიბოს სკრინინგი, რათა დარწმუნდეთ, რომ ჯანმრთელი ხართ, ან დროულად გამოავლინოთ დაავადების ნიშნები და ჩაიტაროთ მკურნალობა, რაც თქვენი ჯანმრთელობის და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტია იქნება**

## ძუძუს კიბოს სკრინინგი

ტარდება 40-70 წლის ასაკის ქალებში

პროგრამა უზრუნველყოფს:

- მამოგრაფიას
- საჭიროების შემთხვევაში მამოლოგის კონსულტაციას და ექოსკოპიურ გამოკვლევას

ძუძუს კიბოს სკრინინგი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება 2 წელიწადში ერთხელ

## საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი

ტარდება 25-60 წლის ასაკის ქალებში

პროგრამა უზრუნველყოფს:

- პაპ–ტესტის ჩატარებას
- პათოლოგიური ცვლილებების შემთხვევაში კოლპოსკოპიას
- საჭიროების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ გამოკვლევას

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება 3 წელიწადში ერთხელ

## მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი

ტარდება 50-70 წლის ასაკის ქალებსა და მამაკაცებში

პროგრამა უზრუნველყოფს:

- გამოკვლევას ფარულ სისხლდენაზე
- პათოლოგიური ცვლილებების შემთხვევაში კოლონოსკოპიას მორფოლოგიური გამოკვლევით

მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება 2 წელიწადში ერთხელ